„ქუჩაშიც მიღებული უნდა იყო და ვიოლინოზეც უნდა უკრავდე“



ძნელია, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხასიათისა და გემოვნების ადამიანებს თითქმის თანაბრად შეაყვარო თავი. რეალურად ასე იშვიათად, თუმცა მაინც ხდება ხოლმე. მსახიობი ***ნიკო გომელაური*** *მოსწონთ და უყვართ თინეიჯერებსაც, ახალგაზრდებსაც და ასაკოვან მაყურებელსაც. ნებისმიერი კრიტერიუმით იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია, თუმცა „ვარსკვლავური“ დაავადებისგან ძალიან შორს დგას.*

— პოპულარობაზე ფიქრს ცუდი შედეგი მოაქვს ადამიანისათვის, იმაზე ფიქრი, რაზეც არ უნდა იფიქრო, ერთგვარად დამტანჯველიც არის. უნდა იფიქრო საქმის კარგად კეთებაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, არასოდეს მიცდია თავის გამოჩენა. ერთი პერიოდი, როგორც მიწვეული მსახიობი, ისევ სტუდენტურ სპექტაკლებში ვმონაწილეობდი, მაშინ გამოცდილებას და პროფესიონალიზმს ვიძენდი. მერე, თითქოს, ყველაფერი თავისთავად მოხდა.

— ზოგჯერ მსახიობს ძალიან დიდხანს უწევს ლოდინი, მთელი ცხოვრებაც კი...

— ყველაფერი თეატრის ბრალია. მას აქვს ხიბლი, იდუმალება, მისტიკა და ზოგიერთს ეს შეგრძნება არ უშვებს თეატრიდან. ჩემს ცხოვრებაშიც მთავარი თეატრია. კინო, კლიპები, სარეკლამო რგოლები მისი, ასე ვთქვათ, მომყოლია. სცენა ცოცხალი ორგანიზმია, რომლის გარეშეც ვერ ვიცხოვრებ. „კომედიანტებში“ რამაზ იოსელიანი რომ სცენას ელაპარაკება, ისე ვარ მეც. ცხოვრების უკეთესი პირობები რომ მქონდეს, ბევრ კლიპზე, როლზე ვიტყოდი უარს, მაგრამ ახლა რას იზამ. დღევანდელი ყოფა ასეთია.

— თქვენ შესანიშნავი ლექსების ავტორი ბრძანდებით. მე ორ ენაზე წამიკითხავს კიდეც თქვენი პოეზია. ამბობენ, ინგლისურადაც წერსო...

— ეგ ამბავი მეც „მსენია“, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის. ერთხელ შემომთავაზეს, დამეწერა სიმღერის ტექსტი ინგლისურად, სამწუხაროდ, არ შემიძლია, თორემ დღესვე დავიწყებდი წერას ინგლისურადაც...

— ბევრი ლირიკული ლექსი გაქვთ, მაგრამ როცა თქვენი პოეზიის საღამოს სარეკლამო რგოლი მიდიოდა ტელევიზიით, სულ სხვაგვარი ლექსი ისმოდა: „ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ჯონდო დააორსულა“... თქვენ შეარჩიეთ სარეკლამოდ?

— მე არ ამირჩევია, ჩვენ ჩავწერეთ უამრავი მასალა, ყველანაირი ლექსი წავიკითხე, მერე სარეკლამოდ ეს აირჩიეს. უნდა მოიზიდო ხალხი, სამწუხაროდ, ადამიანებს მოსწონთ სკაბრეზული (*უშვერი, უხამსი, — ლ.ჯ.*) გამოთქმების მოსმენა. ლექსში მთავარია დააინტერესო, თუ მოვლენ, მერე დარწმუნებული ვარ, სხვასაც მოისმენენ და მოეწონებათ.

— სამწუხაროდ, მათ, ვინც კარგად არ იცნობს თქვენს შემოქმედებას, ჰგონიათ, რომ თქვენი პოეზია იმ სარეკლამო რგოლში წარმოდგენილი ლექსის მსგავსია.

— ეს არ არის პრობლემა. ბოლო წელიწად-ნახევარში 10 პოეზიის საღამო მქონდა და ვინც დაესწრო, სხვაგვარად იფიქრებს.

— თვლით თუ არა, რომ რეჟისორი და მსახიობი თანამოაზრეები უნდა იყვნენ?

— ავთო ვარსიმაშვილთან მეხუთე წელია ვმუშაობ და უამრავი სპექტაკლი დავდგით. საბედნიეროდ, კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

— პროფესიის არჩევა ოჯახმა განაპირობა, ტრადიცია გქონდათ?

— ჩემი დეიდაშვილი იყო ცხონებული ტატო კოტეტიშვილი, რეჟისორი. ეს არის და ეს. სხვა არავინ მაკავშირებდა თეატრთან...

— შემოქმედი ხალხი, როგორც წესი, ვერ ულევს ალღოს ყოფით წვრილმანებს.

— სამწუხაროდ, მსახიობობისა და ლექსის წერის მეტი არაფერი ვიცი. სამწუხაროდ-მეთქი, ვიმეორებ, რადგან ამით არ ვამაყობ, მაგრამ რა ვქნა? ვცდილობდი, მომეჭირა ჭანჭიკი, არ გამომივიდა, უარესად ვაფუჭებ ყველაფერს. ამიტომაც თავი ვანებე მცდელობას, ოჯახის წევრებიც შეეგუვნენ.

— ყველაზე დიდი სიხარული როგორ გახსოვთ?

— პირველი შვილი რომ მეყოლა, უდიდესი ბედნიერების განცდა უნდა მქონოდა, მაგრამ... მოხდა ისე, რომ ტასოს გაჩენას დაემთხვა ჩემი დეიდაშვილისა და უახლოესი მეგობრის, ძმაკაცის — კახა კობერიძის სიკვდილი. ასე დაემთხვა ჩემს ცხოვრებაში ერთმანეთს დიდი სიხარული და დიდი ტკივილი. ვერც ერთი ვერ გამოვხატე. ეს მუხტი შიგნით დამრჩა და დღემდე დამაქვს.

— რეალობა ხშირად ძალიან მკაცრია. მით უმეტეს ძნელია, ყველგან კარგად იგრძნო თავი, ქუჩაშიც, თეატრშიც... ბიჭებს კი უხდებათ ქუჩასთან ადაპტაციაც.

— დიახ, დიდი დრო მაქვს გატარებული ქუჩაში.

— და არ „გაფუჭდით“?

— არა, რატომ უნდა გავფუჭებულიყავი? არ მინდა ვთქვა, ჩემს დროს ქუჩა სხვანაირი იყო-მეთქი. არ მაქვს ამგვარად თქმის ასაკი. ქუჩა, რომელსაც მე ვიცნობდი, კარგი და კაცური იყო. ახლა რა, სხვანაირია? არ ვიცი. 9 წლის ბიჭი მყავს და, ალბათ, მალე ის მომიყვება, რა ხდება ქუჩაში...

— არა, უბრალოდ, ქუჩაში სული უხეშდებაო...

— არა მგონია. კაცში იმხელა სინაზეა, კაცური სინაზე... მე ვცდილობ, ეს სინაზე გამოვხატო კიდეც... თუმცა ბიჭი არ შეიძლება ისე გაიზარდოს, ერთხელ მაინც რომ არ გალახონ ქუჩაში, თვითონაც არ გალახოს ვინმე. კაცის ხასიათი ქუჩაში ყალიბდება. ვიოლინოზეც უნდა უკრავდე და ქუჩაშიც მიღებული უნდა იყო, ერთმანეთს არ გამორიცხავს.

— თქვენ სინაზის გამოხატვა ახსენეთ, ალბათ პირველ რიგში თქვენს შვილებთან გამოხატავთ სინაზეს. ისინი როგორ დამოკიდებულებას იჩენენ თქვენი შემოქმედების მიმართ?

— მყავს 11 წლის ანასტასია და 9 წლის გიორგი — ჯეჯი. ისინი ამაყობენ ჩემი ლექსებით, ძალიან უყვართ ჩემი სპექტაკლები. ტასოზე ლექსი მაქვს დაწერილი — „ზღაპარი ტასო და ვარსკვლავი“. მთხოვს ხოლმე, წამიკითხეო, განსაკუთრებით უყვარს მისი მოსმენა.

— თქვენი რომელი სტრიქონები გიყვართ თავად განსაკუთრებით?

— გნებავთ, ამ სტრიქონებს ჩემი კრედო დაარქვით:

...თავის ზღვარი აქვს ზღვასა და ხმელეთს,
სული გახსნილი, სული ფარული,
მხოლოდ ერთი რამ მანამდეც, მერეც —
სულ სიყვარული, სულ სიყვარული.

ლელა ჯიყაშვილი

— ვინა ხართ, რა ქვეყნიდან — რა საოცრად მღერით...

შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „მსოფლიოს ჩემპიონები“ ქართველმა გოგონამ ***მარიკა თხელიძემ*** *გენიალური სტივენ სპილბერგიც კი გააოგნა ნიჭიერებით და სამშობლოში გამარჯვებულის ტიტულითაც დაბრუნდა. წელახან მარიკა იმავე ფესტივალის საპატიო სტუმარი გახლდათ და ფესტივალის გახსნასა და დახურვაზე თავის ცნობილ „პოპურისთან“ ერთად სხვა ნაწარმოებებიც შეასრულა. ამასთან, ჰოლივუდელი ცნობილი პროდიუსერებისაგან ბევრი საინტერესო მიწვევაც მიიღო. მალე იგი აშშ-ის ერთ-ერთ კოლეჯში გაემგზავრება ინგლისური ენის შესასწავლად და დასახვეწად. მოგვიანებით კი ითამაშებს ლაიენ კინგის ერთ-ერთ მიუზიკლში ბროდვეიზე. ერთი სიტყვით, ქართველი შოუბიზნესის პატარა ვარსკვლავი ჰოლივუდის ვარსკვლავებს „ეთამაშება“. უკვე იქაურ სტილისტებთანაც კი გაუკეთებია ვარცხნილობა. მარიკა ამის და, საერთოდ, ამერიკული ვოიაჟის შესახებ თავად გვესაუბრება:*

— აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი, როცა ამერიკელი სტილისტი ვარცხნილობას მიკეთებდა. ის ხომ ჯულია რობერთსსაც ვარცხნის. ჯულია ჩემი საყვარელი მსახიობია და თუ ოდესმე შეიძლება ამისრულდეს ოცნება, თუ ამერიკულ კინოში ვითამაშებ, მინდა ჯულია რობერთსის გვერდით ვიყო გადასაღებ მოედანზე.

— როგორც გავიგე, ნიუ-იორკში ჩატარებულ კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად. მსმენელი ამერიკელი ხალხი იყო?

— ეს კონცერტი ქართველი და ებრაელი ემიგრანტებისათვის იყო განკუთვნილი. ამერიკაში ჩასვლისთანავე იქაურებთან არავინ წარგადგენს. ხალხმა რეკლამებით, პლაკატებით უნდა გაგიცნოს. მათ ცნობიერებაში უნდა ჩაჯდეს ქართველი შემსრულებლების სახელები და გვარები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაიმართოს კონცერტი თვითონ ამერიკელებისათვის. მე, ნეკა სებისკვერაძემ, თემურ თათარაშვილმა და კახა ცისკარიძემ სული ჩავდეთ იმ კონცერტში და მაყურებელმაც გულწრფელად გამოხატა აღფრთოვანება. ემიგრანტი ებრაელები სცენაზე ამოდიოდნენ და გვეფერებოდნენ. სასიამოვნო მოგონებად დამრჩება ის დღე.

— როგორც შენი საუბრიდან ჩანს, ქართველ მომღერლებს თითქმის არ იცნობენ ამერიკაში.

— მართალია. ამერიკაში სუხიშვილების ანსამბლს იცნობენ შესანიშნავად. ქართველ მომღერლებს რომ არ იცნობენ, სულაც არ არის ტრაგედია. სამაგიეროდ, ქართული სიმღერის გაგონებისას შეიძლება ითქვას, სუნთქვა ეკვრით. მახსოვს, ნიუ-იორკში, მეტროს ვაგონში შემოვიდნენ ზანგები. ფლეიერს უსმენდნენ და თან მღეროდნენ. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და ქართული ხალხური სიმღერები წამოვიწყეთ. უნდა გენახათ, რა მოხდა. ჯერ გაჩუმდნენ, მერე ფლეიერი გამორთეს და სულგანაბულები გვისმენდნენ. რომ დავასრულეთ, ტაში დასცხეს და მოგვეცვივდნენ: ვინა ხართ, რა ქვეყნიდან. რა საოცრად მღერით. „ჯორჯია“ იქაური „ჯორჯია“ ეგონათ. როცა ავუხსენით, ძალიან დაინტერესდნენ საქართველოთი. ასე ემართება თითქმის ყველა ამერიკელს...

— ამერიკაში წასვლის შემდეგ მხოლოდ ინგლისურენოვან სიმღერებს ხომ არ იმღერებ?

— არა, რას ამბობთ. ამერიკელებს სწორედ ქართული სიმღერა მოსწონთ და ამიტომაც მიიქცია ჩემი შესრულების მანერამ ყურადღება. ჩემი პედაგოგი რუსუდან ბახტაძე ისევ გააგრძელებს ჩემთან მუშაობას — მე ისევ ქართულ სიმღერებს ვიმღერებ. სულ მალე ჩემი სიმღერების ალბომი გამოვა „სიდზე“ ჩაწერილი. კლიპის გადაღებაც იგეგმება. რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი იქნება.

— ამერიკაში დაძაბული სიტუაციაა. ყველას ტერორისტების ეშინია. შენ რა შეატყვე?

— მართლაც ძალიან დაძაბული სიტუაციაა. ხალხი ჯერაც პანიკაშია. მეც მეშინოდა, ნიუ-იორკში რომ მივფრინავდი. ამასთან, თვითმფრინავმა მოულოდნელად დაიწყო დაშვება ოკეანისკენ. ვიფიქრე, დავიღუპე-მეთქი. თურმე იქ აეროპორტი ოკეანის სანაპიროზეა...

მარიკა მალე გაემგზავრება აშშ-ში. თან ქართული წიგნების, ლოცვანისა და ხატების წაღებას აპირებს. უკვე განიცდის საქართველოდან წასვლას. თუმცა არ მალავს, რომ ჰოლივუდში წარმატებების მოპოვების დიდი სურვილიც აქვს. მას ხომ უკვე იცნობენ ოკეანის გაღმა, პოპულარული ჟურნალები კარგა ხანია წერენ მარიკა თხელიძეზე.

ეკა ლომიძე

ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან
გაუსვლელად